ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. აგვისტოს 20. № 13 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

193. მთავრობის გაზეთების მიერ შრომის მოთხოვნა-მიწოდების თაობაზე შრომის ბირჟების ინფორმაციის უფასოდ გამოქვეყნების შესახებ.

194. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

195. სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 267[1] მუხლის დამატების შესახებ.

196. საავტორო უფლების დებულების 27 მუხლის შეცვლის შესახებ.

197. სარეწაო კოოპერაციის დებულების 12,147 და 152 მუხლების შეცვლისა და აღნიშნული დებულებისათვის 91[1] მუხლის დამატების შესახებ.

198. მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის საჭირო მასიურ ღონისძიებათა შესახებ.

199. სახელმწიფო პროკურატურის დებულების მე-16 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

200. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

201. ადგილობრივი საგზაო ორგანოების დროებითი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღებისა და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების შეცვლის შესახებ.

დროებითი დებულება ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ.

202. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი მიხა ცხაკაიას სახელობის ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი მიხა ცხაკაიას სახელობის ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის შესახებ.

203. „სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

193. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მთავრობის გაზეთების მიერ შრომის მოთხოვნა-მიწოდების თაობაზე შრომის ბირჟების ინფორმაციის უფასოდ გამოქვეყნების შესახებ.

რათა დამქირავებელთა ფართო წრეებმა იცოდნენ, თუ რა შესაძლებლობა აქვს შრომის ბირჟებს საჭირო მუშა ძალის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო უმუშევართ თავის დროზე ეცნობოთ, სად რა სამუშაო ადგილებია, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს მთავრობის ყველა გაზეთს და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გაზეთებს მოათავსონ ხოლმე შრომის ბირჟების ინფორმაცია შრომის მოთხოვნა-მიწოდების თაობაზე რაიმე სასყიდლის გადაუხდევინებლად გაზეთში დათმობილი ადგილისათვის.

2. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი მათ გამგებლობაში მყოფი გაზეთების მიმართ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ყლენტი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 169 №-ში 1930 წ. ივლისის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

194. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ის არასრულწლოვანი, რომელიც თვით შეიტანს თავის სახელზე ანაბარს სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში, განაგებს ამ ანაბარს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

---

195. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 267[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 267[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„267[1]. საგარეო ვაჭრობის ოპერაციების წარმოებისათვის რწმუნებულობის გაცემის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული კანონით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 50 №-ი, მუხ. 448)“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

---

196. დადგენილება ც. ა. კ. და ს. ნ. კ. ს.

საავტორო უფლების დებულების 27 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საავტორო უფლების დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-რი, მუხ. 200) 27 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„27. ამა დებულების 22, 26 და 41 მუხლებში აღნიშნული წესები ვრცელდება აგრეთვე ისეთ საგამომცემლო ხელშეკრულებაზედაც, რომლის საგანიც არის მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოები, სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის ნაწარმოები და აგრეთვე ფოტოგრაფიისებური საშუალებით დამზადებული ნაწარმოები.

შენიშვნა. ბარათისა, ალბომისა და სხვა რამ ამგვარი სახით სურათის, ნახატის და ქანდაკების რეპროდუქციის შესახებ დადებულ საგამომცემლო ხელშეკრულებაზე ვრცელდება აგრეთვე ამა დებულების 24 მუხლში აღნიშნული წესები“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 167 №-ში 1930 წ. ივლისის 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

197. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სარეწაო კოოპერაციის დებულების 12, 147 და 152 მუხლების შეცვლისა და აღნიშნული დებულებისათვის 91[1] მუხლის დამატების შესახებ.

„კოოპერატიული კრედიტის დებულების გარეშე მომქმედი სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციების საანაბარო ოპერაციების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 6-ის დადგენილების მე-13 მუხლისა (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 72 №-ი, მუხ. 682), კოოპერატიული კრედიტის დებულების 21 მუხლისა და კოოპერატიული ორგანიზაციის ლიკვიდაციისა, შეერთებისა და დაყოფის დროს მათი გაუქმების წესის დებულების 22 მუხლის (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 66 №-ი, მუხ. 616) შესაბამისად— სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

„სარეწაო კოოპერაციის დებულების“ მე-12, 147 და 152 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. ანაბარის მიღება სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სწარმოებს ამა დებულების მე-III კარში აღნიშნული წესების თანახმად.

სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელსაც საკრედიტო ფუნქციები არა აქვს, შეუძლიან მიიღოს ანაბარები იმ საფუძველზე, რაც განსაზღვრულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 6-ის დადგენილებით „კოოპერატიული კრედიტის დებულების გარეშე მომქმედ სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციების საანაბარო ოპერაციების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 72 №-ი, მუხ. 682); ამასთანავე, ანაბარების საპროცენტო განაკვეთის ზედმიწევნითს რაოდენობას დააწესებს სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირი და დაამტკიცებს საქართველოსს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი“.

„147. ყველა ცნობილი პრეტენზია, მისი ვადის მიუხედავად, დაფარულ უნდა იქნეს ორგანიზაციის ლიკვიდაციისათვის დაწესებული ვადის განმავლობაში.

კრედიტორების დაკმაყოფილებას აწარმოებს სალიკვიდაციო კომისია— პრეტენზიების დაკმაყოფილების რიგობის თაობაზე კანონით დადგენილი საერთო წესების დაცვით.

პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად დადგენილი რიგობის განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში სალიკვიდაციო კომისიას უფლება აქვს შესცვალოს სალიკვიდაციო ორგანიზაციის ვალების გადახდის ვადა საერთო სალიკვიდაციო ვადის ფარგლებში (მუხ. 138), პირგაუტეხელობის ჯარიმის გადაუხდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად, ხოლო გადაცილებული დროისათვის პროცენტის გადახდით სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დისკონტის რაოდენობით. ამასთანავე, პირველი კატეგორიის პრეტენზიებისათვის ვადის გაგრძელება არ შეიძლება".

„152. უკეთუ სარეწაო-საკრედიტო კოოპერატიულ ორგანიზაციას ერთად წარედგინება რამდენიმე პრეტენზია და მისი ქონება საკმარისი არ იქნება ყველა განცხადებული პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, ეს პრეტენზიები დაკმაყოფილდება ქვემომდევნო წესის დაცვით; ამასთანავე, ყოველი შემდგომი ჯგუფი პრეტენზიებისა დაკმაყოფილდება მხოლოდ წინა ჯგუფის სრული დაკმაყოფილების შემდეგ:

ა) ის პრეტენზია, რაც კანონით მიკუთვნებულია პირველი კატეგორიისათვის;

ბ) ანაბარების დაბრუნების მოთხოვნა;

გ) დავალიანება იმ სესხისა, რაც საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ მიღებულია საკრედიტო დაწესებულებისაგან სესხის მისაცემად სოფლის მეურნეებისა, შინამრეწველებისა და ხელოსნებისათვის (გარდა ძირითადი და სპეციალური კაპიტალებისათვის მიღებული სესხისა);

დ) სხვა პრეტენზიები, გარდა ამა მუხლის „ა", „ბ" და „ე" პუნქტებში აღნიშნულისა (მათ რიცხვში გირაოთი უზრუნველყოფილი პრეტენზიაც); ამასთანავე, ამ ჯგუფის შიგნით დაცულ უნდა იქნეს პრეტენზიების დაკმაყოფილების რიგობის თაობაზე კანონით დადგენილი საერთო წესები;

ე) დავალიანება იმ სესხისა, რაც საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ მიღებულია ძირითადი და სპეციალური კაპიტალებისათვის.

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სოციალური დაზღვევის პრეტენზია—ხვედრი საურავითურთ—დაკმაყოფილდება პირველი კატეგორიის პრეტენზიების შედგენილობაში სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის პრეტენზიების წინ".

II.

სარეწაო კოოპერაციის დებულებას დაემატოს 91[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„91[1]. რესპუბლიკანური კავშირი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დამტკიცებით, აწესებს საპროცენტო განაკვეთის ზედმიწევნითს რაოდენობას იმ ანაბარებისათვის, რასაც მიიღებენ ის სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელთაც საკრედიტო ფუნქციები არა აქვთ".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

198. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის საჭირო მასიურ ღონისძიებათა შესახებ.

რათა სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად საქართველოს სსრ-ში მეცხოველეობა სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ჩაატარონ საშემოდგომო თესვის კამპანიის პერიოდში—სასოფლო საბჭოებისა, ადგილობრივი ორგანოების აგრონომიული და ვეტერინარული პერსონალისა და ზოორწმუნებულების მეშვეობით,—ახსნა-განმარტების კამპანია იმის თაობაზე, რომ სავალდებულოა, რათა საგლეხო მეურნეობებმა და მათმა შენაერთებმა განახორციელონ ზოომინიმუმი, ე. ი. მესაქონლეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის საჭირო უმარტივესი ღონისძიებანი.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ზოომინიმუმად იგულისხმება მესაქონლეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის საჭირო უმარტივესი შემდეგი ღონისძიებანი:

ა. კოლექტიურ მეურნეობაში.

ა) ჯიშიანი საქონლის პროდუქტიობისა და შთამომავლობის აღნუსხვა სათანადო დავთრებში ჩაწერით;

ბ) მოზარდი საქონლის სრულ-ასაკოვანისაგან განცალკევებით და აგრეთვე მოზარდი საქონლის სქესის მიხედვით ცალ-ცალკე ძოვება;

გ) დაუგრილებლობა მქისე-მატყლიანი დედალი თოხლებისა წელიწადნახევრამდე, მერინოსის დედალი თოხლებისა ორ წელიწადნახევრამდე, დედალი ბურვაკებისა ათ თვემდე, ფაშატი ცხენებისა სამ წლამდე, დეკეულისა ორ წლამდე;

დ) ყველა დედალი საქონლის შედგენილობის დაგრილების უზრუნველყოფა მხოლოდ მოწონებული და მისაშვები მწარმოებლებით;

ე) დაუგრილებლობა მქისე-მატყლიანი ყოჩებისა წელიწადნახევრამდე, მერინოსისა ორ წელიწადნახევრამდე, კერატებისა ერთ წლამდე, ულაყი კვიცებისა სამ წლამდე და ბუღებისა ორ წელიწადნახევრიდან სამ წლამდე;

ვ) თავისუფალი მიშვებით (ჯოგში, ფარაში და სხვ.) დაგრილების დროს ერთმა ყოჩმა უნდა დააგრილოს არა ნაკლებ 40 ცხვრისა, კერატმა არა ნაკლებ 40 ნეზვი ღორისა, ულაყმა არა ნაკლებ 35 ფაშატისა და ბუღამ არა ნაკლებ 40-50 ძროხისა;

ზ) დაკოდვა ყველა უვარგისი (მავნე) მწარმოებლისა (რახიტიკისა), უჯიშოსი და, საერთოდ, ცუდათ განვითარებულისა, მემკვიდრეობით მანკიანისა და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ხარისა და ცხენის სამუშაოდ გამოყენება არა უადრეს სამწელიწადნახევრისა;

ი) საკვები ჭარხლისა, იონჯისა და სხვა ბალახების დათესვა იმ ვარაუდით, რომ 100 სულ ღორზე (ბეკონიზაციის რაიონებში) და 50 სულ მსხვილფეხა საქონელზე (სამრეწველო მეცხოველეობის რაიონებში) მოდიოდეს არა ნაკლებ 1 დესეტინა ნათესი ფართობისა;

კ) საძოვრების რაციონალურად გამოყენება და სათიბების გაუმჯობესება (მავნე ბალახებისა და სარეველა ბალახების მოსპობით, ბუჩქნარების ამოგდება, ქვების აკრეფა, ნაკელით გაპატიება და სხვა); სათიბების გათიბვა უნდა ხდებოდეს მათი ყვავილობის პერიოდში;

ლ) მუყაითი ყურისგდება ცხვრებისა, ცხენებისა, ღორებისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯანმრთელობისათვის და მათი ავად გახდომისთანავე დაუყოვნებლივ მიმართვა ვეტ-პერსონალისადმი დახმარების აღმოსაჩენად;

მ) საქონლის სამარხის მოწყობა საძოვრებთან დაშორებით; აუცილებლად შემოღობა ამ სამარხებისა და მკვდარი საქონლის დამარხვა არა ნაკლებ, ვიდრე 2 მეტრის სიღრმეზე;

ნ) გულმოდგინეთ გასუფთავება და დეზინფექცია იმ სადგომებისა და საგნებისა, რასაც ეხებოდა გადამდები სენით დაავადებული საქონელი;

ო) აკრძალვა უეცრად მომკვდარი და გადამდები სენით დაავადების მხრივ საეჭვო საქონლის გატყავებისა ვეტ-ზედამხედველობის ნებადაურთველად;

პ) საქონლისათვის წყლის დასალევინებლად წყალსათავსებისა და სხვა ადგილების მოწყობა, მათი სუფთად შენახვა და ამ ადგილებში ხალხისა და საქონლის ბანაობის აკრძალვა;

ჟ) საქონლის ყოველდღე წმენდა;

რ) საქონლისათვის პირველი დახმარების გასაწევად საჭირო წამლების (მედიკამენტების) სავალდებულო შეძენა;

ს) წინასწარ აღმკვეთი ღონისძიებების მიღება გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით ციმბირის წყლულისა, ჭირისა, ქავილისა და სხვ.;

ტ) ღონისძიების მიღება, რათა ცხვრებს ჭიის ავადმყოფობა არ დაემართოთ, რისთვისაც საჭიროა, რომ ცხვარი არ იდევნებოდეს ნესტიან და ჭაობიან საძოვრებზე, ხოლო წყლის დასალევინებლად—გუბეებსა და წყალდამდოვრებულ ადგილებზე; აგრეთვე საჭიროა, ძაღლებს არ გადაეყაროს რეტისაგან დახოცილი ცხვრის თავები და წელიწადში ორჯერ მოხდეს ძაღლების წამლობა ჭიის ავადმყოფობის წინააღმდეგ ვეტ-ექიმისა ან ზოოტექნიკოსის დახმარებით;

უ) ღორების მიუშვებლობა სანაგვეებსა და ფეხისადგილებზე;

ფ) უზრუნველყოფა ზამთარში ცხვრებისა სათანადო ფარეხებით და ცხენებისა დახურული ფარდულებით;

ქ) ცხვრებისათვის თავის დროზე ჩლიქების დაჭრა და ტარტლის შეკრეჭა, ხოლო მერინოსებისა და მეტისებისათვის თვალის გარშემო მატყლის შემოკრეჭა;

ღ) უხეში საკვების მომარაგება არა ნაკლებ ორი თვის სამყოფისა სუსხიანი ზამთრისა და უსაკვებობის შემთხვევისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყ) პარსვისა და მატყლის შეგროვების დროს, შეძლებისდაგვარად, ერთ-ჯერა პარტიების შედგენა; ბარდანებად შეკვრის დროს მატყლის ჩალაგება სქესისა, ფერისა და ასაკის მიხედვით;

შ) მეფრინველეობის სამრეწველო რაიონებში ფრინველისათვის სპეციალური საქათმეების მოწყობა.

ბ. ინდივიდუალურ მეურნეობაში.

ა) ღონისძიების მიღება, რათა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველის დაგრილება მოხდეს 100%-ით;

ბ) უზრუნველყოფა, რომ მთლად სადედე საქონელი დაგრილებულ იქნეს მოწონებული მწარმოებლებით;

გ) თავისუფალი მიშვებით დაგრილება უნდა მოხდეს მოწონებული და მისაშვები მწარმოებლებით და ისეთი ვარაუდით, რომ თვითეულმა კერატმა დააგრილოს 35 ნეზვი-ღორი, ულაყმა—35 ფაშატი და ბუღამ—35-40 ძროხა;

დ) დაუგრილებლობა მქისე-მატყლიანი დედალი ცხვრისა წელიწადნახევრამდე, დედალი ბურვაკისა ათ თვემდე, ფაშატისა სამ წლამდე და დეკეულისა ორ წლამდე;

ე) მუყაითი ყურისგდება ცხვრებისა, ცხენებისა, ღორებისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯანმრთელობისათვის და მათი ავად გახდომისთანავე დაუყოვნებლივ მიმართვა ვეტ-პერსონალისადმი დახმარების აღმოსაჩენად;

ვ) წინასწარ აღმკვეთი ღონისძიების მიღება გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით ციმბირის წყლულისა, ჭირისა, ქავილისა და სხვ.;

ზ) ღონისძიების მიღება, რათა ცხვრებს ჭიის ავადმყოფობა არ დაემართოთ, რისთვისაც საჭიროა, რომ ცხვარი არ იდევნებოდეს ნესტიან და ჭაობიან საძოვრებზე, ხოლო წყლის დასალევინებლად—გუბეებსა და წყალდამდოვრებულ ადგილებზე; აგრეთვე საჭიროა ძაღლებს არ გადაეყაროს რეტისაგან დახოცილი ცხვრის თავები და წელიწადში ორჯერ მოხდეს ძაღლების წამლობა ჭიის ავადმყოფობის წინააღმდეგ ვეტ-ექიმის ან ზოოტექნიკოსის დახმარებით;

თ) ღორების მიუშვებლობა სანაგვეებსა და ფეხისადგილებზე;

ი) საქონლის სამარხის მოწყობა საძოვრებთან დაშორებით; აუცილებლად შემოღობა ამ სამარხებისა და მკვდარი საქონლის დამარხვა არა ნაკლებ, ვიდრე 2 მეტრის სიღრმეზე;

კ) გულმოდგინეთ გასუფთავება და დეზინფექცია იმ სადგომებისა და საგნებისა, რასაც ეხებოდა გადამდები სენით დაავადებული საქონელი;

ლ) აკრძალვა უეცრად მომკვდარი და გადამდები სენით დაავადების მხრით საეჭვო საქონლის გატყავებისა ვეტ-ზედამხედველობის ნებადაურთველად;

მ) საქონლისათვის წყლის დასალევინებლად წყალსათავსებისა და სხვა ადგილების მოწყობა, მათი სუფთად შენახვა და ამ ადგილებში ხალხისა და საქონლის ბანაობის აკრძალვა;

ნ) საქონლის ყოველდღე წმენდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) ცხვრებისათვის თავის დროზე ჩლიქების დაჭრა და ტარტლის შეკრეჭა, ხოლო მერინოსებისა და მეტისებისათვის თვალის გარშემო მატყლის შემოკრეჭა;

პ) უხეში საკვების მომარაგება არა ნაკლებ ერთი თვის სამყოფისა სუსხიანი ზამთრისა და უსაკვებობის შემთხვევისათვის.

3. საკითხი სათანადო ტერიტორიაზე ყველა მეურნეობისათვის სავალდებულო წესით ზოომინიმუმის განხორციელების შესახებ, მას შემდეგ, რაც ეს საკითხი დამუშავებულ იქნება სასოფლო საბჭოებთან არსებულ საწარმოო სასოფლო-სამეურნეო თათბირებზე, განსახილველად შეიტანება მოქალაქეთა საერთო კრებაზე (ყრილობაზე), კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე და ქვედა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატიული შენაერთების წევრთა თუ რწმუნებულთა საერთო კრებაზე და მიიღება დამსწრეთა ხმის (მარტივი) უმეტესობით.

4. იმდენად, რამდენადაც წინა მუხლში აღნიშნული ორგანოების დადგენილებანი შეიძლება განხორციელებულ იქნეს უწყებული რაიონის მეურნეობების მიერ, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი გამოსცემს ზოომინიმუმის შესახებ სავალდებულო დადგენილებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მთელი რაიონის მეურნეობისათვის შესასრულებლად სავალდებულო ღონისძიებათ, რაც გათვალისწინებულია მოქალაქეთა საერთო კრებებისა და ზემოაღნიშნული სხვა ორგანიზაციების დადგენილებებში.

5. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაში ზოომინიმუმის შესახებ აღნიშნულ უნდა იყოს:

ა) სავალდებულო წესით განსახორციელებელი ღონისძიებანი მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის;

ბ) სავალდებულო დადგენილების მოქმედების რაიონი;

გ) ვადა, რომლითაც გამოცემულია დადგენილება;

დ) ის დახმარება და ხელისშეწყობა, რასაც ზოომინიმუმის წარმატებით განხორციელებას გაუწევენ საადგილმამულო ორგანოები, სასოფლო საბჭოები, საკრედიტო და კოოპერატიული ორგანიზაციები და სხვ.;

ე) პასუხისმგებლობა ცალკეული მეურნეობებისა და პირებისა სავალდებულო დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუსრულებლობისათვის.

6. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ზემოაღნიშნული სავალდებულო დადგენილებით შეიძლება დაწესებულ იქნეს შემდეგი გადასახდელი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუსრულებლობისათვის ჯარიმა-სადები მიზეზით:

ა) საყვედური ან საზოგადოებრივი გაკიცხვა;

ბ) გამორიცხვა კოოპერატიული ორგანიზაციიდან ვადით ან უვადოთ;

გ) მოხდა რიგს გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბეგარისა;

დ) ფულადი ჯარიმა ათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა შვიდ დღემდე.

შენიშვნა. „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნული გადასახდელი დაიდება სასოფლო საბჭოს მიერ; ხოლო „გ“ პუნქტში აღნიშნული გადასახდელი—სათანადო კოოპერატიული ორგანოს მიერ, სასოფლო საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებისამებრ, როგორც ფულადი ჯარიმის ან იძულებითი მუშაობის დამატებითი ღონისძიება, და ისიც მხოლოდ სავალდებულო დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების დაჟინებით თავიდან არიდებისათვის.

7. ამა დადგენილების განხორციელებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა და მისი აღსრულებისათვის თვალყურისდევნება დაეკისრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო წესები და ინსტრუქციები.

8. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი სათანადო რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 156 №-ში 1930 წ. ივლისის 6.

---

199. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სახელმწიფო პროკურატურის დებულების მე 16 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახელმწიფო პროკურატურის დებულების (კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 72) მე-16 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„16. სახალხო კომისარიატები და სხვა ცენტრალური დაწესებულებები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ უგზავნონ რესპუბლიკის პროკურორს ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის გამოცემული ყველა თავიანთი ინსტრუქციისა, ცირკულარული განკარგულებისა, ბრძანებისა და საუწყებო ბიულეტენის ორ-ორი ცალი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ულენტი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 167 №-ში 1930 წ. ივლისის 18.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

200. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულებს დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მაისის 18.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის მიზნებს ანხორციელებს უსინათლოთა მოწყობით წარმოების ყველა დარგში, რაც კი მათთვის მისაწვდომია, და აგრეთვე მათი გაერთიანებით არტელებად, ამხანაგობებად, კომუნებად და სხვა ამგვარ კოლექტივებად თვითმოქმედებისა, ურთიერთ დახმარებისა და პირადი თაოსნობის საფუძველზე.

2. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბა არსებობს საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან და მოქმედებს მისი საერთო ხელმძღვანელობით და კანტროლით. საზ-ბის მუშაობის საერთო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ხოლო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში საზ-ბა ავტონომიურია.

2. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის მიერ მოწყობილი კოოპერატიული ორგანიზაციები ან შედიან ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შედგენილობაში, ან და შეადგენენ ამ უკანასკნელთან დამოუკიდებელ უჯრედებს. ორსავე შემთხვევაში უსინათლოთა კოოპერატიული შენაერთები მიიღებენ,—როგორც ნიმუშს,—იმ ნორმალურ წესდებებს, რაც სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულია ინვალიდთა კოოპერაციისათვის (შენაერთებისათვის), და თავის მუშაობას მიმართავენ უმთავრესად საწარმოო და შრომის არტელების მოსაწყობად თვითეული წარმოების განსაკუთრებული პირობებისა და უსინათლოთა შრომის გამოყენების თავისებურობის მიხედვით.

უსინათლოთა შრომითი მოწყობის აღნიშნული გზების არჩევა მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ან სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების თანხმობას კუთვნილებისამებრ.

4. რათა სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის მოქმედება უსინათლოთა კოოპერირების სფეროში შეთანხმებულ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის მოქმედებასთან—ამ უკანასკნელთან შეიძლება მოეწყოს უსინათლოთა სექცია. სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირთან მოწყობილი უსინათლოთა სექცია მოქმედობს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესების საფუძველზე. ამ წესებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ურთიერთობა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბასა და სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირს შორის და უნდა განისაზღვროს მათი ურთიერთი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. უსინათლოთა არტელი, კომუნა და ამხანაგობა, მოწყობილი სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის მიერ, და მის უშუალო ექსპლოატაციაში მყოფი წარმოებითი და სავაჭრო საწარმო, გარდა საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით მათთვის მინიჭებული საგადასახადო შეღავათისა, განთავისუფლდებიან სასამართლოს ბაჟისაგან და ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან; აგრეთვე განთავისუფლდება ადგილობრივი გადასახადისაგან და სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელ ნახევარ-მთვარის საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებული გამოსაღებისაგან სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის უშუალოდ მოწყობილი საზოგადო გასართობი და სანახაობა, რომლის შემოსავალიც მთლიანად ამ ორგანიზაციის სახსრის გაძლიერებას უნდა მოხმარდეს.

6. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ან მისი ადგილობრივი შენაერთის წევრთა შედგენილობაში შემავალი უსინათლონი და აგრეთვე მათ რჩენაზე მყოფი ოჯახის წევრები ყველა სახის სტაციონალური და საამბულატორიო საექიმო დახმარების უფასოდ მიღებისა, მედიკამენტების უფასოდ მიღებისა, ბავშვთა სწავლის ფულისაგან განთავისუფლებისა, ადგილობრივი გადასახადისა და ადგილობრივი გამოსაღებისაგან განთავისუფლებისა, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის შეღავათისა და სხვ. მხრით გათანასწორებულ არიან ინვალიდებთან, ოომელთაც აქვთ სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

7. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ ბა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებს და როგორც ასეთს, უფლება აქვს დასდვას კანონით ნებადართული ხელშეკრულება და გარიგება, მიიღოს შეწირულება, აიღოს სესხი, გასცეს რწმუნებულობა და თამასუქები და აგრეთვე შეიძინოს, გაასხვისოს და დააგირავოს ყოველგვარი ქონება, მათ შორის შენობებიც, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში.

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბას და მის ადგილობრივ განყოფილებას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში დაწესებული საწინდრის წარუდგენლად.

9. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას აქვს შტამპი და ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

10. თავისი ვალებისათვის სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბა პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით; ამასთანავე აღნიშნული პახუხისმგებლობა არ გავრცელდება საზ-ბის წევრთა პირად ქონებაზე.

11. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის მოქმედების წარსამართავად და მოსაწესრიგებლად და აგრეთვე მისთვის კონტროლის გასაწევად სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი გამოსცემს სათანადო ინსტრუქციებს, ცირკულიარებს, განაწესებს და სხვ. და თავისი ინსტრუქტორების მეშვეობით რევიზიას გაუკეთებს ხოლმე საზ-ბის სალაროს ხელთქონებულობას, ანგარიშგებას, მის ფუნქციონალურსა და საოპერატივო მუშაობას.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში საერთო ხელმძღვანელობას განახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბა და მისი განყოფილებანი, მთელ თავის, როგორც ადმინისტრატიულ, ისე სამეურნეო მოქმედებისა და სახელმწიფო, კომუნალურ, საზოგადოებრივ და სხვ. დაწესებულებებთან და საწარმოებთან და აგრეთვე ურთიერთ შორის და კერძო პირებთან ურთიერთი მიმართვის სფეროში—განთავისუფლდებიან სასამართლო ბაჟისაგან და სანოტარო გამოსაღების გადახდისაგან.

II. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მიზანი.

13.სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის მიზანს შეადგენს: უსინათლოთა აღრიცხვა; საშუალებათა გამონახვა და საჭირო ღონისძიებათა მიღება, რათა უსინათლოთა მასა შეეჩვიოს მისთვის ხელმისაწდომ შრომას და ჩაებას შრომის პროცესებში; განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების მუშაობაში მონაწილეობის მიღება უსინათლოთა სასკოლო და სკოლამდე აღზრდისა და განათლების საქმის რაციონალურად დაყენებისათვის უსინათლოთა შორის პროფესიონალური და საერთო განათლების განვითარება და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება; სათანადო სახელოსნოებისა, სასწავლო და სხვა დაწესებულებებისა და კურსებისა, საერთო საცხოვრებლებისა, კოლონიებისა და სხვ. გახსნა; საექიმო დახმარების აღმოჩენა და უსინათლოების მკურნალობისათვის და მისი წინასწარ თავიდან აცილებისათვის ყოველგვარი ღონისძიების მიღება; სამეურნეო და საერთო სახელმწიფო საბჭოთა მშენებლობაში უსინათლოთა უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება.

14. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბა გაუწევს თავის წევრებს იურიდიულ და ყოველგვარ სხვა დახმარებას, რათა ამით გააუმჯობესოს მათი მატერიალური მდგომარეობა, მოაწყობს ურთიერთ დახმარების სალაროებს საზ-ბის წესდებაში ან ასეთ სალაროთა სპეციალურ დებულებაში აღნიშნულ საფუძველზე და იკისრებს ღრმა მოხუც და შრომის უნარმოკლებულ უსინათლოთათვის მზრუნველობის გაწევას.

15. უსინათლოთა საზ-ბის მუშაობის გეგმა, რამდენადაც ამ მუშაობას კავშირი ექნება სახელმწიფო ორგანოებთან (ჯანმრთელობის, განათლების და შრომის სახალხო კომისარიატებთან), შეთანხმებულ უნდა იქნეს ამ ორგანოებთან.

III. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შედგენილობა, წევრთა უფლება-მოვალეობანი.

16. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის წევრად მიიღება სრულწლოვანი აბსოლუტურად უსინათლო მოქალაქე და აგრეთვე ნაწილობრივ უსინათლოც, უკეთუ იგი სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა და მას არაშრომითი შემოსავალი არა აქვს. თვალის სინათლის მქონე პირნი, როცა ისინი უსინათლოთა საქმისათვის სასარგებლონი არიან, მიიღებიან საზ-ბის წევრებად, თანასწორი უფლებით, უკეთუ მათზე არ ვრცელდება საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 93 მუხლის მოქმედება; ხოლო ასეთ პირთა რიცხვი სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის თვითეულ განყოფილებაში უსინათლო წევრთა საერთო რიცხვის 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ პირთა წევრად მიღებისა და აგრეთვე საზოგადოებიდან მათი გამოსვლისა და გამორიცხვის წესი დაწვრილებით განისაზღვრება საზ-ბის წესდებით.

შენიშვნა. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის წევრად შეიძლება იყოს აგრეთვე უსინათლო გლეხი, რომელიც მიწათმოქმედებას ეწევა და იყენებს დამხმარე დაქირავებულ შრომას გლეხთა მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების წესების მიხედვით.

17. საზ-ბის ყველა წევრებს აქვთ ერთნაირი უფლებები და ისინი შეიძლება არჩეულ იქნენ საზ-ბის საქმეთა მართვა-გამგებლობის ყველა თანამდებობაზე.

რწმუნებულთა კრება (მუხლი 22) ყოველწლიურად გამოაცხადებს თანამდებობათა ნუსხას და განსაზღვრავს შრომის სასყიდლის მიცემის წესს.

შენიშვნა. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საოლქო განყოფილებას უფლება აქვს აიყვანოს დამატებით სასყიდლიანი მომუშავენი თავისი ხარჯით.

18. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბაში შესვლისას წევრი შეიტანს საწევრო გადასახადს—ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილად; ამ გადასახადისაგან შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს არაშემძლე უსინათლო, უმუშევარი და მოსწავლე.

19. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბას უფლება ეძლევა გამოუშვას ყოველგვარი ბეჭდვითი გამოცემა, პერიოდული და ყოველდღიური, როგორც უსინათლოთა ცხოვრებისა და მათი სწავლების, აღზრდის, მზრუნველობისა და სხვ. სფეროში ქონებული მიღწევების გამომხატველი, ისე სხვა შინაარსისაც, აგრეთვე მოაწყოს სპექტაკლები, ლექციები, ბაზრები და სხვ. არსებული კანონებისა, წესებისა და განკარგულებების დაცვით.

20. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბას უფლება ეძლევა თავის წევრთათვის მომსახურეობის გასაწევად და უსინათლოთა შრომითი უზრუნველყოფისა, მათი აღზრდისა და განათლების საქმისათვის სახსარის შესაძენად—გახსნას, კანონის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ნებართვით, წარმოებითი და სავაჭრო საწარმონი.

IV. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სახსარი.

21. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის სახსარს შეადგენს: ა) საწევრო გადასახადი; ბ) დაწესებულებათა, კერძო პირთა და ორგანიზაციათა შეწირულება; გ) სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დოტაციები; დ) უსინათლოთა ნაკეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი და სხვა საშემოსავლო წყაროები; ე) იმ სახელოსნოების შემოსავალი, სადაც უსინათლონი მუშაობენ; ვ) უსინათლოთა არტელების მოგების ანარიცხი; ზ) სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მიერ უსინათლოთათვის მოწყობილ დაწესებულებაში და საწარმოში სწავლისა და შენახვის სასყიდელი, უკეთუ ასეთი დაწესებული იქნება; თ) ფულის საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრეფისა, კონცერტებისა, ლექციებისა, სპექტაკლებისა, ბაზრისა და სხვ. შემოსავალი. საზ-ბის სახსარი, წესდების თანახმად, ჩაირიცხება სათანადო კაპიტალებში—ძირითად, სათარიგო, სპეციალური დანიშნულების და სხვა კაპიტალში.

V. საქმეთა მართვა-გამგებლობა.

22. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის მმართველობის ორგანოებია: 1) სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზ-ბის ადგილობრივი განყოფილებების რწმუნებულთა კრება; 2) საზ-ბის საბჭო და 3) გამგეობა.

23. ის საქმეები, რაც ექვემდებარება 22 მუხლით გათვალისწინებული თვითეული ორგანოს გამგებლობას, დაწვრილებით ჩამოთვლილ უნდა იქნეს საზოგადოების წესდებაში, რომელშიაც აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული: 1) რიცხვი პირთა, რაც საჭიროა რწმუნებულთა კრებისა, საბჭოს და გამგეობის კანონიერი შედგენილობისათვის; 2) ხმათა როგორი უმეტესობით,—შედარებითი, თუ კვალიფიციური აბსოლუტური უმეტესობით,—უნდა გადაწყდეს ესა თუ ის საკითხი; 3) რწმუნებულთა კრებისა, საბჭოს და გამგეობის მოწვევის წესი; 4) ის საქმეები, რაც თვითეული აღნიშნული ორგანოს გამგებლობას ექვემდებარება; 5) თანამდებობის პირთა არჩევისა, ხმის მიცემისა და ოქმების შედგენის წესი.

რწმუნებულთა კრების გამგებლობას აუცილებლად ექვემდებარება შენობის შეძენისა, გაყიდვისა და დაგირავების საკითხები, აგრეთვე წესდების შეცვლის და საზოგადოების წევრთა გამორიცხვის საკითხები. აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა კრებაზე რწმუნებულთა კვალიფიციური რიცხვის დასწრება და ხმის კვალიფიციური უმეტესობა.

24. რწმუნებულთა კრებაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, მასთან არსებული სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირისა და განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების თითო წარმომადგენელი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი წევრის უფლებით მონაწილეობას იღებს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საბჭოში და გამგეობაში; სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საბჭოს და გამგეობის სხდომებში იმ საქმეთა განხილვის დროს, რაც დაკავშირებულია უსინათლოთა კოოპერირებასთან და მათი კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებასთან.

ისეთი საკითხების განხილვის დროს, რომელიც ჯანმრთელობის, განათლების და შრომის სახალხო კომისარიატების გამგებლობის საგანს შეეხება, საბჭოს და გამგეობის სხდომებზე მოწვეულ უნდა იქნენ აღნიშნულ უწყებათა წარმომადგენელნი.

რწმუნებულთა კრებაზე, საბჭოს და გამგეობის სხდომაზე დამსწრე წარმომადგენელნი უწყებებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატთან არსებული სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირისა საქმეთა გადაწყვეტის დროს სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებას.

25. რწმუნებულთა კრების და საბჭოს სხდომის ოქმები წარედგინება დასამტკიცებლად სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს; გამგეობის სხდომის ოქმები გაეგზავნება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება აქვს შეაჩეროს მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულება, უკეთუ ამით ირღვევა კანონი ან სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდება და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციები და განკარგულებანი, ან და უკეთუ გადაწყვეტილება შეიცავს აშკარა გადახრას საზოგადოების მიზნებისაგან.

26. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოთხოვნით შეიძლება მოწვეულ იქნეს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების რწმუნებულთა კრება და აგრეთვე საბჭოს და გამგეობის სხდომა.

27. ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც უსინათლოთა ყოფა-ცხოვრების მოწყობასთან არის დაკავშირებული, საზოგადოების წარმომადგენელი პირად მოხსენებას გაუკეთებს ხოლმე სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ან მის მოადგილეს. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომებს ამგვარი საკითხების განხილვის დროს დაესწრება სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელი.

VI. ანგარიშგება და რევიზია.

28. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საჯარო ანგარიშგების შესახებ კანონით დადგენილი წესების დაცვის გარდა, სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება თავისი მოქმედების პერიოდიულ ანგარიშს ყოველი ექვსი თვისათვის წარუდგენს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

29. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წლიური ანგარიშებისა, ბალანსისა, ქონებისა, სამეურნეო საქმეებისა და მთელი მოქმედების შესამოწმებლად, აგრეთვე ფულადი ხარჯთაღრიცხვისა და მოქმედების განსახილველად და მათ შესახებ დასკვნის მისაცემად რწმუნებულთა საერთო კრება აირჩევს სარევიზიო კომისიას, რომლის ფუნქციებიც განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს შეუძლიან სარევიზიო კომისიის შედგენილობაში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი.

VII. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ლიკვიდაცია.

30. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს საზოგადოების დახურვის გამომწვევი გარემოებანი, მისი საქმეების ლიკვიდაციისა, ვალების დაფარვისა, კრედიტორების დაკმაყოფილებისა და ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონებისათვის დანიშნულების მიცემის წესი.

დადგენილება ლიკვიდაციის შესახებ დამტკიცებულ უნდა იქნეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების განყოფილებანი.

31. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას შეუძლიან, თავის წესდებაში გათვალისწინებული წესისამებრ, მოაწყოს საქართველოს სსრ-ის მთელს ტერიტორიაზე განყოფილებანი (სარაიონო, სამაზრო და საოლქო) და დაავალოს მათ სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისათვის დაკისრებული მიზნების შესრულება.

განყოფილებათა მიერ გაცემული ყველა ვალდებულებისათვის და მათი ვალისათვის თვითეული განყოფილება პასუხს აგებს დამოუკიდებლად; ეს პასუხისმგებლობა არა ვრცელდება სხვა განყოფილებათა და აგრეთვე სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ქონებასა და კაპიტალზე.

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა მოქმედებისათვის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაწევის უფლებას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი განახორციელებს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

IX. სრულიად საქართველოს უსინათლოთა ყრილობა.

32. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საბჭოს შეხედულებით და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ნებართვით შეიძლება მოწვეულ იქნეს უსინათლოთა ყრილობები, თათბირები და კონფერენციები იმ მიზნით, რათა გამოირკვეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ უსინათლოთა საჭიროებანი, რათა ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად დასახული ღონისძიებანი მეტის წარმატებით იქნეს მიხწეული და გამომუშავდეს უსინათლოთა მატერიალური, მორალური და კულტურული დახმარების ზოგადი საფუძვლები. ყრილობებისა, თათბირებისა და კონფერენციების მოწვევის წესს, მათ შედგენილობას და მათ მიერ განსახილველ საკითხებს განსაზღვრავს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საბჭო.

X. სრულიად საქართველოს უსინათლოოა საზოგადოების წესდების რეგისტრაცია.

33. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდება დამტკიცდება და რეგისტრაციაში გატარდება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ.

---

201. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივი საგზაო ორგანოების დროებითი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღებისა და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დროებითი დებულება ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის მაისის 14-ის დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითს დებულებაში“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 99) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1) მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოებია: ა) აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან ამ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და თავიანთი მოქმედებით ანხორციელებენ საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დირექტივებსა, დავალებებსა და განკარგულებებს; ბ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგზაო განყოფილება და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო განყოფილებანი, რომელნიც მოქმედობენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების დანარჩენი განყოფილებებისათვის არსებულ საერთო საფუძვლებზე.

ზემოაღნიშნული საგზაო ორგანოების დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა მთლად არ არის განხორციელებული, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოებია უშუალოდ მისთვის დაქვემდებარებული ხაზის უბნები“.

2) მე-5 მუხლის „ა“, „ვ“, „რ“, „ს“ და „ტ“ პუნქტები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს]:

„ა) უშუალო ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის გაწევა ადგილობრივი საგზაო ორგანოების (მუხ. 4) მუშაობისათვის საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების შენებისა, აღდგენისა და რემონტის სფეროში; საერთო ხელმძღვანელობის გაწევა იმავე ორგანოებისათვის ადგილობრივი საგზაო მშენებლობის სფეროში“;

„ვ) შემუშავება და წარდგენა განსაკუთრებული წესებით დადგენილ შემთხვევაში აკსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოსათვის საგზაო მშენებლობის პროექტებისა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზე; ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მშენებლობის პროექტების დამტკიცება“;

„რ) უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივი საგზაო ორგანოების მუშაობისათვის საავტომობილო საქმის მოწესრიგების საკითხებში“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ს) ავტო-მოტო-მანქანების აღნუსხვის წესის დამყარება; ავტო-მოტო-მანქანების ექსპლოატაციის უფლების შესახებ მოწმობების გაცემა; ავტო-მოტო-მანქანების მართვის უფლებისათვის ნებართვის გაცემა“;

„ტ) უშუალოდ და ადგილობრივი საგზაო ორგანოების მეშვეობით ზედამხედველობისა და ინსპექტორობის გაწევა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ ავტო-საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა მუშაობისათვის; ტეხნიკური კონსულტაცია ავტო-საწარმოთა და ავტო-მეურნეობათათვის საავტომობილო საქმის საკითხებში“;

3) დაემატოს მე-5 მუხლს „ი[1]“ პუნქტი და 1-ლი და მე-2 შენიშვნები შემდეგი შინაარსისა:

„ო[1]. უშუალო გამგებლობა ყველა საგზაო მექანიკური ჭურვისა რესპუბლიკაში; ამ ჭურვების რემონტი და ადგილობრივ საგზაო ორგანოთა შორის განაწილება მათი განცხადების მიხედვით“;

„**შენიშვნა 1.** იმ ადგილებში, სადაც ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა მთლად არ არის განხორციელებული, საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების შენახვას და რემონტს, აგრეთვე საავტომობილო საქმის ხელმძღვანელობას ანხორციელებს უშუალოდ საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო“.

„**შენიშვნა 2.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს შეიძლება დაეკისროს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების უშუალო შენახვა, შენება, აღდგენა ან კაპიტალური რემონტი“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მაისის 28.
ტფილისი—სასახლე.

დროებითი დებულება

ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ.

1. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ხელმძღვანელობით, საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების და საგზაო ნაგებობების უშუალო გამგებლობისა და აგრეთვე საავტომობილო საქმის მოწესრიგებისათვის—აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ოლქების ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტორიაზე მოეწყობიან სათანადო ადგილობრივი საგზაო ორგანოები: გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები —ზემოაღნიშნულ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების—საგზაო განყოფილებანი.

შენიშვნა. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების გამგებლობის საგნები და მოქმედება მოწესრიგდება ამ ორგანოების განსაკუთრებული დებულებებით, რასაც გამოსცემენ აღნიშნული რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წინასწარი დამტკიცების შემდეგ.

2. ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული საგზაო განყოფილებანი, ექვემდებარებიან რა სათანადო საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს), ანხორციელებენ თავიანთი მოქმედებით როგორც საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, ისე სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივებს, დავალებებს და განკარგულებებს.

საგზაო განყოფილებათა ურთიერთობა აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან მოწესრიგდება აღმასრულებელი კომიტეტების დანარჩენ განყოფილებათათვის არსებული საერთო წესით, იმ გამონაკლისების გარდა, რაც აღნიშნულია ამა დებულების ქვემომდევნო მუხლებში.

3. საგზაო განყოფილებათა გამგებლობის საგანს ოლქის ტერიტორიის ფარგლებში (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში) შეადგენს:

ა) შეინახონ, ააშენონ, აღადგინონ და შეაკეთონ ყველა კატეგორიის გზები და საგზაო ნაგებობები, გარდა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობებისა, რაც ამორთმეულია მათი გამგებლობიდან ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების (აკსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70) მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შენიშვნით და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების მე-5 მუხლის მე-2 შენიშვნით გათვალისწინებული წესის თანახმად;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიონ ადგილობრივი ქვედა ორგანოების მუშაობას საგზაო საქმეში;

გ) მოაწყონ საგზაო სამუშაოები შრომის საგზაო ბეგარის შეფარდებით;

დ) გამოიკვლიონ ყველა კატეგორიის გზატკეცილები და ყამირგზები; შეიმუშაონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სია და წარადგინონ საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოში მასალები გზების კლასიფიკაციისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) შეადგინონ გზათ მშენებლობის საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები და წარუდგინონ საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს და სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს;

ვ) შეიმუშაონ და შეადგინონ გზათა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები და პროექტები და წარუდგინონ, განსაკუთრებული წესების თანახმად, დასამტკიცებლად საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს;

ზ) აწარმოონ საგზაო მეურნეობის ტეხნიკური და ფინანსიური ანგარიშგება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მიეო დადგენილი ფორმით და წესით;

თ) აღნუსხონ ავტო-მოტო-მანქანები; გასცენ მოწმობები ავტო-მოტო-მანქანების მართვისა და ექსპლოატაციის უფლების შესახებ;

ი) ზედამხედველობა გაუწიონ ავტო-საწარმოთ და ავტო-მეურნეობათ;

კ) აღნუსხონ ავტო-მოტო-მანქანების სატეხნიკო და საექსპლოატაციო მუშაობა; განიხილონ ავტო-მეურნეობათა და ავტო-საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგებები და წარუდგინონ ეს ანგარიშგებები, თავიანთი დასკვნითურთ, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს;

ლ) შეიმუშაონ, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დავალებით, საავტო-ტრანსპორტო ბეგარასთან დაკავშირებული საკითხები;

მ) განახორციელონ საგზაო მეურნეობისა და ავტო-ტრანსპორტის თაობაზე არსებული ყველა კანონი და აგრეთვე სავალდებულო დადგენილება, წესი და ინსტრუქცია და კონტროლი გაუწიონ მათ აღსრულებას;

ნ) აწარმოონ საგზაო და საავტო-ტრანპორტო სტატისტიკა და შეადგინონ საგზაო რუკები.

4. საგზაო განყოფილებათა სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება კანონით გათვალისწინებული საერთო წესისამებრ, წინასწარ საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანპორტის სამმართველოსთან შეთანხმებით.

5. საგზაო განყოფილებათა გამგეებსა და მათ მოადგილეებს დანიშნავენ და დაითხოვენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები—საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა. ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე (საგზაო განყოფილების გამგისა თუ მისი მოადგილისა) აუცილებლად დანიშნულ უნდა იქნეს სათანადო ტეხნიკური განათლების მქონე პირი.

6. საგზაო განყოფილებათა საინჟენერო-სატეხნიკო დარგის მომუშავენი დანიშნულ უნდა იქნენ წინასწარ მათი კანდიდატურის საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საგზაო განყოფილებათა დაფინანსება გზათა მშენებლობისა და მათი აპარატის შენახვისათვის განხორციელდება სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისამებრ.

საგზაო განყოფილებანი აწარმოებენ მათ განკარგულებაში საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გადადებული თანხების ცალკეულ ანგარიშგებას—საამისოდ არსებული სპეციალური წესებისა და ინსტრუქციების თანახმად.

8. საგზაო განყოფილებათ აქვთ ბეჭედი საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავიანთი სახელწოდების წარწერით.

---

202. დადგენილება ს. კ. ს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი მიხა ცხაკაიას სახელობის ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი მიხა ცხაკაიას სახელობის ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის დებულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ივნისის 7.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი მიხა ცხაკაიას სახელობის ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის შესახებ.

I. მიზნები და ამოცანები.

1. ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი იმყოფება საქართველოს სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი არის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უმაღლესი სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულება და სარგებლობს ამ კატეგორიის დაწესებულებათათვის მინიჭებულ ყველა უფლებას და უპირატესობას.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით ოცდაათი თერაპევტიული საწოლი ყოველგვარი ფიზიოთერაპევტიული მოწყობილობით და ლაბორატორიებით გამოიყოფა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის კათედრის სარგებლობისათვის.

4. სახელმწიფო ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტს დაეკისრება:

ა) შეისწავლოს და დაამუშაოს სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული საკითხები ფიზიოთერაპიის დარგში; გამოიკვლიოს ფიზიკური აგენტები სამკურნალო და პროფილაქტიკის მიზნით;

ბ) გამოიკვლიოს და შეისწავლოს საკურორტო-სამკურნალო ფაქტორების ბუნებრივი თვისებები საერთოდ და, კერძოდ, ის საკითხები, რაც შეეხება საქართველოს კურორტებს და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილებს; შეიმუშაოს საკურორტო ფაქტორების გამოკვლევის მეთოდები; აწარმოოს ამ ფაქტორების ორგანიზმზე მოქმედების ექსპერიმენტალურ კლინიკური შესწავლა, შეიმუშაოს საკურორტო ავადმყოფთა მიზანშეწონილი შერჩევისა და საკურორტო მკურნალობის შედეგების სამეცნიერო აღნუსხვის საკითხები;

გ) გამოიყენოს კურორტებზე სეზონის დროს, მთავარი საკურორტო სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად, სანატორიუმები, ფიზიოთერაპევტიული მოწყობილობანი და ლაბორატორიები სამეცნიერო-საკვლეო მუშაობის წარმოების მიზნით;

დ) გაუწიოს მშრომელთ სამკურნალო და პროფილაქტიური ფიზიოთერაპევტიული დახმარება;

ე) გაუწიოს სამეცნიერო-პრაკტიკული ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფ სხვა ფიზიოთერაპევტიულ საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებებს;

ვ) მოამზადოს სამეცნიერო მომუშავენი ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის დარგში;

ზ) მოამზადოს ექიმები და აგრეთვე დამხმარე პერსონალი ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის დარგში და ხელი შეუწყოს მათი ცოდნის გაფართოებას;

თ) გამოსცეს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები.

II. ინსტიტუტის სახსარი.

5. სახელმწიფო ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტის სახსარს შეადგენს: ა) სახარჯთაღრიცხო ასიგნები სახელმწიფო ბიუჯეტით ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით; ბ) მთავარი საკურორტო სამმართველოს სადოტაციო თანხები; გ) ფიზიოთერაპევტიული სასყიდლიანი მომსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობის (საწოლი, პროცედურა, სალაბორატორიო გამოკვლევა და სხვ.) შემოსავალი.

შენიშვნა. ინსტიტუტი გაუწევს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით გაგზავნილ ავადმყოფებს სტაციონალურ და საამბულატორიო დახმარებას სახელმწიფო ბიუჯეტის სახარჯთაღრიცხო ასიგნვების ფარგლებში.

III. ინსტიტუტის სტრუქტურა.

6. სახელმწიფო ფაზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტის სტრუქტურას შეადგენს:

ა) 50 საწოლიანი კლინიკური განყოფილება; მათ შორის—30 თერაპევტიული საწოლი, 10 ნერვიული და 10 გინეკოლოგიური;

ბ) ლაბორატორია კლინიკურ-დიაგნოსტიური, ბიოქიმიური და ექსპერიმენტალური განყოფილებებით;

გ) ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის განყოფილებანი:

1) ელექტროთერაპევტიული,
2) ფოტო-თერაპევტიული,
3) ჰიდრო-თერაპევტიული,
4) ტალახით მკურნალობის,
5) მექანო-თერაპევტიული,
6) რენტგენო-თერაპევტიული,
7) რადიო-თერაპევტიული,
8) საინგალაციო.

დ) რენტგენო-დიაგნოსტიური კაბინეთი;

ე) კარდიოლოგიური კაბინეთი;

ვ) პოლიკლინიკა: თერაპევტიული, ნერვიული და გინოკოლოგიური კაბინეთებით;

ზ) ფიზკულტურის კაბინეთი;

თ) მკურნალობის შედეგების აღნუსხვის კაბინეთი;

ი) სამედიცინო ბიბლიოთეკა და მუზეუმი;

კ) დიეტური სამზარეულო.

ინსტიტუტის მართვა-გამგებლობა და პირადი შედგენილობა.

7. ინსტიტუტის სათავეში სდგას დირექტორი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველო.

8. დირექტორის დასახმარებლად ადმინისტრატიულ-სამეურნეო მუშაობის დარგში ინსტიტუტის წარდგენით დაინიშნება დირექტორის თანაშემწე.

9. დირექტორს დაეკისრება ინსტიტუტის მართვა-გამგებლობა მისი მუშაობის ყველა დარგში. დირექტორს ექვემდებარება ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დირექტორი თავმჯდომარეობს ინსტიტუტის კონფერენციებს, ამტკიცებს მათ დადგენილებებს და თვალყურს ადევნებს ამ დადგენილებათა განხორციელებას.

11. დირექტორი ინსტიტუტის სახელით იქონიებს ყოველგვარ ურთიერთ მიმართვას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან, მთავარ საკურორტო სამმართველოსთან და სხვა უწყებებთან და დაწესებულებებთან.

12. დირექტორი წარუდგენს მთავარ საკურორტო სამმართველოს სათანადო ანგარიშებს, საწარმოო გეგმებს და სხვა მასალას დადგენილი ფორმით და დადგენილ ვადაზე.

13. ინსტიტუტის სამეცნიერო-სამედიცინო შტატი იყოფა ორ ნაწილად: ერთ ნაწილს შეადგენს მუდმივი, ძირითადი კადრი და მეორეს—ცვალებადი შტატი. ძირითად კადრს მიეკუთვნებიან შემდეგი პირნი: 1) დირექტორი, 2) დირექტორის თანაშემწე, 3) თერაპევტიული განყოფილების გამგე, 4) ნერვიული განყოფილების გამგე, 5) გინეკოლოგიური განყოფილების გამგე, 6) ფიზკულტურისა და მკურნალობის შედეგების აღნუსხვის კაბინეთების გამგე, 7) ფოტო-თერაპევტიული განყოფილების გამგე, 8) ტალახით და წყლით მკურნალობის განყოფილების გამგე, 9) რენტგენო-თერაპევტიული განყოფილების გამგე, 10) ლაბორატორიის გამგე და 11) ლაბორანტი.

ცვალებად შტატს მიეკუთვნებიან: ორდინატორები და სხვადასხვა კურორტებიდან და დაწესებულებებიდან სამეცნიერო მუშაობისათვის მივლინებული პირები. ორდინატორების რიცხვს განსაზღვრავს მთავარი საკურორტო სამმართველო. ორდინატორებს დანიშნავს მთავარი საკურორტო სამმართველო ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით 3 წლის ვადით.

14. ორდინატორი მოვალეა იმსახუროს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებისამებრ იმ ვადის განმავლობაში, რა ვადაც მან დაჰყო ინსტიტუტში ორდინატორად.

15. დანარჩენ მოსამსახურეთ დანიშნავს და დაითხოვს ინსტიტუტის დირექტორი დაქირავებისა და დათხოვნის შესახებ არსებული კანონების თანახმად.

ინსტიტუტს უფლება აქვს მოიწვიოს შტატგარეშე კონსულტანტები ამა თუ იმ სპეციალობის მიხედვით.

16. საორგანიზაციო-საგეგმო და სამეცნიერო საკითხები განიხილება ინსტიტუტის კონფერენციაზე სამეცნიერო მომუშავეებისა და ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით და ინსტიტუტის დირექტორის თავმჯდომარეობით.

17. კონფერენციებს მოიწვევს ინსტიტუტის დირექტორი თვეში ერთხელ მაინც.

18. კონფერენციაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით იმ საკითხების განხილვის დროს, რაც მათ სპეციალობას შეეხება.

19. სახელმწიფო ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტს აქვს ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 148 №-ში 1930 წ. ივნისის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

203. ინსტრუქცია ს. კ. ს.

„სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ.

„სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-20 მუხლის შესასრულებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 48) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს სათანადო დაწესებულებათ—აღნიშნული დადგენილების განხორციელების დროს—იხელმძღვანელონ შემდეგი წესები:

1. ადგილობრივი კომუნალური ორგანოები, სასანიტარო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად, განსაზღვრავენ იმ მიწის ნაკვეთების რაოდენობასა და სივრცეს, რაც საჭიროა მუშათა ბინათმშენებლობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რისთვისაც ვარაუდში უნდა მიიღონ თვითეულ სულზე დაწესებული სასანიტარო-საჰიგიენო საცხოვრებელი ნორმა, იმისდამიუხედავად, თუ უწყებულ ქალაქში თვითეულ სულზე რა ფაქტიური საცხოვრებელი ფართობია.

2. სააღნაგოდ მიწის ნაკვეთის მიჩენის დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) ადგილი უნდა იყოს რამდენადაც შეიძლება მშრალი, რომელზედაც წყალი არ გადავარდებოდეს; ამ ადგილს უნდა ჰქონდეს საკმაო სიღრმეზე მკვრივი ნიადაგი შენობის საფუძვლისათვის საიმედო.

ბ) სააღნაგოდ მისაჩენი ტერიტორია ისეთი უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს საჭირო რაოდენობის კარგი წყლის მიწოდება და აგრეთვე შეიძლებოდეს ატმოსფერული ნალექებისა, ყამირის წყლებისა და უსუფთაობის მოცილება ისე, რომ რთული რამ გამართულობა არ დასჭირდეს;

3. კომუნალური მომსახურეობით ახალი უბნების უზრუნველსაყოფად და ამ მომსახურეობის ღირებულების შესამცირებლად (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება და სხვ.), იმ ღონისძიებათა გარდა, რაც აღნიშნულია „სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების შესახებ“ გამოცემულ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლში, საჭიროა:

ა) რათა გაერთიანებულ იქნეს განსაზოგადოებულ გამართულებებზე გასაწევი ხარჯები, რაც უნდა გაიღოს რამდენმამე დაინტერესებულმა მოსაზღვრე დაწესებულებამ;

ბ) რათა გამოყენებულ იქნენ უკვე არსებული გამართულობანი—მათთან ახლად მოსაწყობ გამართულობათა შეერთებით, რისთვისაც აღნიშნული გამართულობანი სათანადოდ გაფართოებულ და ხელახლა გაწყობილ უნდა იქნენ, იმისდამიუხედავად, ვის ეკუთვნიან ან ვის განკარგულებაში არიან უკვე არსებული კომუნალური გამართულობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ახალ უბნებში მუშათა ბინების საალნაგოდ მიწის ნაკვეთების მიჩენის დროს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა დააწესონ ასაშენებელი სახლის საცხოვრებელი ფართობის მინიმალური რაოდენობა იმ ვარაუდის მიხედვით, რომ ახლად მოსაწყობ უბანში მოსახლეობის საშუალო სიმკვრივე უდრიდეს 200-დან 300 კაცამდმე უბნის ფართობის 1 ჰექტარზე და რომ საცხოვრებლად მიჩენილი ტერიტორია შეადგენდეს მთელი უბნის ტერიტორიის 60—70%-ს.

ხოლო აღნაგობის ნორმალურ სიმკვრივედ (ფარდობა ნაკვეთის იმ ნაწილის ფართობსა, რომელიც შენობებითაა დაჭერილი, და ნაკვეთის საერთო ფართობს შორის) უნდა ჩაითვალოს:

ა) როდესაც სახლი პატარაა, ერთსართულიანი—10-დან 50 პროცენტამდე;

ბ) როდესაც სახლი ორსართულიანია—10-დან 40 პროცენტამდე;

გ) როდესაც სახლი სამ ან ოთხსართულიანია—10-დან 30 პროცენტამდე.

5. დასახლებულობათა (поселковое) მშენებლობისათვის მისაჩენი მიწის ნაკვეთების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ვარაუდით, რომ თვითეულ ბინაზე მოდიოდეს არა ნაკლებ 450 კვ. მეტრისა, რადგანაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მწვანე ნარგავებისა, კოლექტიური სასადილოებისა, სამკითხველოებისა, საბავშვო ბაქნებისა და სხვ. მოწყობის აუცილებლობა. ხოლო ინდივიდუალური აღნაგობისათვის საჭირო სამშენებლო ნაკვეთები არ უნდა იყოს 500 კვ. მეტრზე ნაკლები.

6. სამუშე ბინათმშენებლობისათვის ნაკვეთების მიჩენა და აღსადგენად, შენების დასამთავრებლად, დასაშენებლად, მისაშენებლად ან გადასაკეთებლად არსებული სახლების გადაცემა სწარმოებს იმ ვადების დაცვით, რაც განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლით (ახალი რედაქციისა (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ. 171).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ივნისის 18.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 1.198. ტირაჟი 1.100.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

კანონთა კრებულის მე-11 და მე-12 ნომერში დაბეჭდილი განცხადების მე-2 აბზაცის მე-2 სტრიქონში:

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
მოწვეული, უნეა...	მიწვდილი, უნდა...